

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**პროფესიული განათლების ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში**

თამარ კაკუტია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებებთან ფაკულტეტის პროგრამა განათლების მეცნიერებების დოქტორანტი;

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის მიმოხილვას, პროფესიების სწორედ შერჩევისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კუთხით. სტატიაში გაშლილია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ გაქრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული პროგრამების სწავლება. ასევე, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, განხილულია ის ხარვეზები და პრობლემები, რაც განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. ასევე, აღნიშნული პრობლემების გაანალიზების შედეგად წარმოგიდგენია ხედვა, თუ რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პროფესიების განცობისა, თუ შესწავლის კუთხით, იმისათვის, ისეთი პრობლემები, როგორც არის სტუდენტთა მასიური გადინება უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლებიდან და სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობა, ესოდენ მწვავედ არ იდგეს დღის წესრიგში. სტატიაში ასევე ვეხები იმ საკითხს, თუ როგორი რეგულაციები უნდა არსებობდეს, იმისათვის, რომ პროფესიული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის ლოგიკურ ჯაჭვში ჩაებას და შესაბამისად, თითოეული ბენეფიციარისათვის მარტივი, გასაგები და მოსახერხებელი იყოს კვალიფიციური დახმარების შედეგად, შეარჩიოს მისთვის სასურველი პროფესია.

**საკვანძო სიტყვები :** პროფესიული განათლება საქართველოში, დასაქმება, პროფესიული ორიენტაცია, სტუდენტთა გადინება, სტატუსშეჩერებული სტუდენტები, პროფესიული პროგრამები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესიული სტუდენტი, პროფესიული პროგრამები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

წინამდებარე სტატიით მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი მოსაზრება განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურზე, პროფესიულ განათლებაზე და მის ადგილზე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენთვის ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ პროფესიული განათლების დაუფლების შესაძლებლობა სკოლის საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ გვეძლევა. მაქსიმალური ასაკობრივი შეზღუდვა პროფესიულ განათლებაზე სწავლის მსურველებისათვის არ არის. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი სურვილისამებრ შესაძლებელია საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგაც გახდეს და ცხოვრების სხვა, ნებისმიერ ეტაპზეც. მაგალითად, შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებელიც კი გქონდეს დასრულებული და სხვადასხვა მიზეზთა გამო გადაწყვიტო მთელი პროფესიული განათლება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული, ორი სხვადასხვა ასაკის, განვითარების და განათლების მქონე პირი, შესაძლებელია სწავლისას ერთ მერხზე აღმოჩნდეს. რამდენად მიზანშეწონილია ამ ორი განსხვავებული ასაკის, განათლების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირისათვის ერთი და იგივე, ორივესათვის მისაღები სასწავლო პროგრამებითა და სწავლების მეთოდებით მომზადდება, ეს სხვა მსჯელობის საგანია. ახლა კი მინდა შევჩერდე იმ ფაქტორებზე, რომლებიც, შესაძლოა, იწვევდეს სკოლის მერხიდან პროფესიულ კოლეჯებში წამოსულ პირთა დიდი პროცენტით გადინებას, ან თუნდაც რა არის მიზეზი იმისა, რომ თუკი მოსწავლეები სკოლის დასრულების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ხვდებიან, პროფესიულ პროგრამებზე სწავლას სახლში ჯდომას ამჯობინებენ. იციან კი დღეს ამ პირებმა, რომ უმაღლესი სასწავლებლის გარდა, არსებობს კიდევ სხვა, ფართო შესაძლებლობები შეარჩიონ პროფესია, ისწავლონ ყოველგვარი გადასახადის გარეშე და დასაქმდნენ, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი ან თუკი უკვე აქვთ რაიმე საქმე წამოწყებული, უფრო განავითარონ. წლიდან წლამდე სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების დაფინანსება უფრო და უფრო იზრდება. ხორციელდება არა ერთი ღონისძიება სასწავლო პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, პედაგოგების გადასამზადებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა სკოლადამთავრებულების სტატისტიკა, რომლებიც არც უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას და არც პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, არც თუ ისე სახარბიელოა. დავინტერესდები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოვითხოვე ბოლო სამი წლის მონაცემები<sup>1</sup>, თუ რამდენმა მოსწავლემ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური 2011-დან 2014 სასწავლო წლის ჩათვლით. აქედან რამდენმა მოსწავლემ გააგრძელა სწავლა

<sup>1</sup> კორესპონდენცია-MES81500675942: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; კორესპონდენცია-MES91500666312-სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა


The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

უმაღლესს საფეხურზე, რამდენმა პროფესიულ პროგრამებზე და რამდენი მოსწავლე დარჩა განათლების მიღმა.

წელი	2011-2012		2012-2013		2013-2014	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
მოსწავლეების სრული ოდენობა ვინც დაძლია საშუალო საფეხური	34158	100%	42532	100%	31628	100%
ჩააბარა პროფესიულ კოლეჯში	5000	14.6%	6530	15.4%	2048	6.5%
კონკრეტულ წელს დამთავრებულთაგან, უმაღლესში ჩარიცხულთა რაოდენობა	19976	58.5%	22296	52.4%	20935	66.2%
სკოლადამთავრებულები, ვინც არ გააგრძელა სწავლა	9182	26.9%	13706	32.2%	8645	27.3%



როგორც ცხრილში ხედავთ, ბოლო სამი წლის მონაცემებით, ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში სწავლას აგრძელებს საშუალო საფეხურის სკოლადასრულებულთა სრული ოდენობის არაუმეტეს 15,4%-ისა. 2014 წელს კი ამ მაჩვენებელმა 6,5%-მდე დაიწია. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას აგრძელებს

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

შესაბამის წლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა სრული ოდენობის 52-66%. ხოლო სასწავლო დაწესებულებების მიღმა კი 28-32,2% რჩება. სად მიდიან და რა საქმიანობით არიან დაკავებულები მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში ესოდენ დიდი რაოდენობით საქართველოს მოქალაქეები, რომელნიც განათლების მიღმა რჩებიან? აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ სკოლადამთავრებულთა ეს კატეგორია, სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უამრავი პრობლემისა და რისკის ქვეშ არიან. ვფიქრობ, მართლაც საგანგაშო სტატისტიკაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიულ პროგრამებზე სწავლა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგაც არის შესაძლებელი. თუმცა პროცენტული მაჩვენებელი იმ მოსწავლეებისა, რომლებიც საბაზო საფეხურის შემდეგ სწავლას პროფესიულ კოლეჯებში აგრძელებენ, საკმაოდ მცირეა. ბოლო სამი წლის მონაცემებით, საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ, პროფესიულ კოლეჯებში სწავლას აგრძელებს არაუმეტეს 9%-ისა. 2014 წელს კი ამ მაჩვენებელმა 2%-მდე იკლო. <sup>2</sup>


წელი	2011-2012		2012-2013		2013-2014	
	საბაზო საფეხური	სულ	საბაზო საფეხური	სულ	საბაზო საფეხური	სულ
მოსწავლეების სრული ოდენობა	52785	100%	50838	100%	46258	100%
ჩააბარა პროფესიულ კოლეჯში	4559	9%	2164	4%	1207	2%
გააგრძელ სწავლა შემდეგ კლასში	48226	91%	48674	96%	45051	98%

<sup>2</sup> კორესპონდენცია MESH91500608631-სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials



აღნიშნულ ცხრილში მითითებული პროცენტული მაჩვენებლებიდანაც ნათლად ჩანს პრობლემები, ვინაიდან მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ სურვილი სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ, საბაზო საფეხურის შემდეგ, ისევე, როგორც საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ, შესაძლებლობა აქვთ ყოველგვარი ფინანსური დანახარჯის გარეშე შეისწავლონ პროფესია და დასაქმდნენ. ამ გადაწყვეტილებით ისინი დროისა და ფინანსურ რესურს ზოგავენ. ასევე ეზრდებათ დასაქმების შანსი, ვინაიდან პროფესიულ დაწესებულებებში აქტიურად მუშაობენ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად ემზადება და ძირითადად მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ პროგრამებზე სწავლისა, თუ მისი მცდელობა სწავლა გააგრძელოს საბაკალავრო პროგრამებზე უშედეგოდ რჩება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესო სტატისტიკა მოიძებნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. აღმოჩნდა, რომ 2012-2013 და 2013-2014 სასწავლო წლებში, საქართველოში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა 48.73% და 33%, სწავლის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი არ აქვს. რატომ არის ესოდენ მაღალი პროცენტი სტუდენტებისა, რომელთაც აღარ გააგრძელებს ან ვერ შეძლეს სწავლა. თუკი უმაღლესი განათლების შემთხვევაში ხშირად მიმდინარეობს საუბრები იმაზე, რომ მძიმე სოციალური ფონის გამო სტუდენტი ვერ ახერხებს სწავლის გადასახადის გადახდას და ამის გამო მაღალი პროცენტი სტუდენტებისა, რომელთაც სტუდენტის სტატუსი

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვთ, იგივე მიზეზს ვერ გავავრცელებთ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებზეც. ვინაიდან სახელმწიფო პროფესიულ დაწესებულებებში სწავლას სახელმწიფო აფინანსებს, სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი სახელმწიფო დაწესებულებებში უფრო მაღალია ვიდრე კერძოში.

სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე<sup>3</sup>

	2012-2013				2013-2014			
	ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ	კურსდამამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ	გარიცხულ/სტატუსშეკრე ებულ სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ	გარიცხულ/სტატუსშეკრე ებულ სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ	ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა, სულ	კურსდამამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ	გარიცხულ/სტატუსშეკრე ებულ სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ	გარიცხულ/სტატუსშეკრე ებულ სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ
სტუდენტების რიცხოვნობა, სულ	21045	10790	10255	48.73%	16182	10810	5372	33%
1 სახელმწიფო			5529	26.27%			4186	26%
2 კერძო			4726	22.46%			1186	7%

კერძო პროფესიულ დაწესებულებებში არსებული დაბალი მაჩვენებელი, სხვადასხვა ფაქტორებზე შესაძლებელია იყოს დამოკიდებული, მათ შორის იმაზეც, რომ სტუდენტი საკუთარი ჯიბიდან იხდის თანხას და სხვაზეც, თუმცა აღნიშნული საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ჩვენი დღევანდელი სტატის თემა არ გახლავთ.

რაც შეეხება საჯარო დაწესებულებებს, მიზეზებზე საუბრისას, პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები თვლიან, რომ ზრდასრული მოქალაქეები უფრო მეტად არიან

<sup>3</sup> სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2012-2013; 2013-2014 წლები-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ჩამოყალიბებულნი პროფესიის არჩევისას. ბუნებრივია, გარკვეული გამოცდილების მქონე ადამიანმა უფრო მეტად იცის თუ რა სურს. ბევრი მათგანი მუშაობს კიდევ შესაბამისი პროფესიით და მხოლოდ თავისი ცოდნის გაღრმავება და უნარების უფრო დახვეწა, ან არაფორმალური განათლების ფორმალურად ქცევა და შესაბამისი დიპლომის აღება სურს. სკოლის მოსწავლე კი, მიუხედავად იმისა საბაზო განათლება აქვთ თუ საშუალო, უფრო ნაკლებად არის გარკვეული თავის არჩევანში და პროფესიას ირჩევს ან სხვისი რეკომენდაციით, ან მშობლების მოთხოვნით. საინტერესო იქნებოდა პასუხი შემდეგ კითხვებზე: რა აქტივობები ხორციელდება იმისათვის, რომ სკოლის მოსწავლემ მეტად გაიაზროს, თუ რატომ უნდა ისწავლოს პროფესიულ სასწავლებელში? რა სარგებელს მოუტანს მას პროფესიულ პროგრამებზე სწავლა და რომელიმე, მისთვის სასურველი პროფესიის დაუფლება? როგორ უნდა აირჩიოს მან პროფესია და რა საშუალებებით უნდა მოხდეს მისი ამ კუთხით ინფორმირება? არის თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების იმგვარი მოწყობა, რომ დაეხმაროს მოსწავლეს მისთვის სასურველი პროფესიის იდენტიფიცირებაში, როგორც პროფესიული ასევე უმაღლესი კვალიფიკაციის პროგრამებისა. „მე მინდა გამოვიდე...“ ეს აზრი ჩვენ ბავშვობიდან თავში გვიტრიალებს. თუმცა რატომ მინდა, რომ გამოვიდე ექიმი, ჟურნალისტი, იურისტი და სხვა, ვერ ვასაბუთებთ. ხშირ შემთხვევაში, იმიტომ, რომ დედა ან მამა გვყავს ამ პროფესიის ან უბრალოდ ვიღაცის სურვილია, რომ მე გამოვიდე ექიმი. თუმცა სკოლის ასაკიდანვე რომ იყოს შესაძლებელი მოსწავლე გაეცნოს პროფესიებს, მის შესაძლებლობებს, შეარჩიოს პროფესია მისი ინტერესებისა და უნარების შესაბამისად, ალბათ მათთვის უფრო გაადვილდებოდა მომავლის სწორედ დაგეგმვა. შესაბამისად, მოდით გადავხედოთ რა მოცემულობა გვაქონდა უახლოეს წარსულში და რა მოცემულობა გვაქვს დღეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროფესიული განათლების სივრცეში გადასვლა როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ არის შესაძლებელი. აქ მინიმალური ასაკობრივი შეზღუდვაც არ გვაქვს. შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელსაც დასრულებული აქვს საბაზო საფეხური, ნებისმიერ ასაკში შეუძლია ჩააბაროს პროფესიული ტესტირება, და დაეუფლოს პროფესიას. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით გვაქვს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხური. თუმცა შინაარსობრივად ამ სამ მიმართულებას შორის ბმა არ არსებობს. საბჭოთა პერიოდში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების თერთმეტი წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების კომპონენტი სასწავლო პროგრამაში ყოველთვის იყო ჩართული. სკოლაში მიმდინარეობდა შრომის გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სახელობო განათლების სხვადასხვა ცოდნასა და უნარებს ეუფლებოდნენ. მე-9 - მე-11 კლასებში ნასწავლი საგნები შემდგომში საშუალებას იძლეოდა გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ საშუალო განათლების მქონე პირი, ამ მიმართულებით დასაქმებულიყო კიდევ. მაგალითისათვის მინდა წარმოგიდგინოთ მძღოლის პროფესია. მთელ რიგ სკოლებში შესაძლებელი იყო აღნიშნულ სპეციალობაზე გესწავლა, შემდეგ წარმატებული მოსწავლეები გამოცდასაც კი აბარებდნენ და მას შემდეგ, რაც თვრამეტი წელი შეუსრულდებოდათ, ყოველგვარი დამატებითი სწავლის გარეშე, უფლება ეძლეოდათ დასაქმებულიყვნენ. იმ პერიოდის პროფესიულ სასწავლებლებში გათვალისწინებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი და პროფესიულ სტუდენტს, რომელიც სასწავლებელს დაასრულებდა, პროფესიული დიპლომის გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამადასტურებელი დოკუმენტიც ეძლეოდა. თუმცა სწავლება მიმდინარეობდა ოთხი წლის განმავლობაში და, საშუალო სკოლისაგან განსხვავებით, პროფესიულ სასწავლებელში, სტუდენტს, ორი წლით მეტი დროის გატარება უწევდა. აღნიშნული, შესაძლებლობას აძლევდა მოსწავლეს, სურვილის შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაეგრძელებინა. ამავე დროს, იმ პერიოდში საქართველოში არსებობდა ერთწლიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიც, სადაც სტუდენტს შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასრულების შემდეგ. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგაც, მოქალაქეს შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სკოლაში. ანუ, საბჭოთა პერიოდში საქართველოში არსებობდა ორი დონის პროფესიული სასწავლებელი - შედარებით მაღალი საფეხურის, ტექნიკური (9 კლასის ბაზაზე სტუდენტი 4 წელი სწავლობდა და 11 კლასის ბაზაზე 3 წელი სწავლობდა) და უფრო დაბალი საფეხურის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (9 კლასის ბაზაზე სწავლება 3 წელი მიმდინარეობდა, ხოლო 11 კლასის ბაზაზე -1 წელი). ამ თვალსაზრისით, მოქალაქეს მრავალმხრივი არჩევანი ჰქონდა.

დღესდღეობით პროფესიული დაწესებულება არ გასცემს ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს. თუკი ადამიანი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე გადაწყვიტა, რომ მისთვის დღეს მნიშვნელოვანი პროფესიის შესწავლაა და სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე (9 კლასის ბაზაზე) დაეუფლა პროფესიას, გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი სურვილი გააგრძელოს სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე (უმაღლესი განათლება), დიდ პრობლემად იქცევა. მას მოუწევს უკან, სკოლაში დაბრუნება ან ექსტერნატის წესით ზოგადი განათლების დიპლომის აღება. გარდა აღნიშნული



The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

„სამართლებრივი ჩიხისა“, ჩემის აზრით, სისტემის დღევანდელმა მოწყობამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოქმნა. ამ ვითარებამ, ბუნებრივია, საგრძნობლად შეამცირა 9 კლასის ბაზაზე პროფესიულ სასწავლებლებში მსურველთა რიცხვი, ვინაიდან, გარკვეულწილად, მოქალაქეს ჩაეკეტა გზა უმაღლესი სასწავლებლისაკენ. ჩვენთვის ყველასათვის ცნობილია, რომ 2004 წლიდან განათლების სისტემის რეფორმირება დაიწყო. პროფესიულ სასწავლებლებში ზოგადი განათლების კომპონენტი გაქრა და მხოლოდ პროფესიული პროგრამების შესაბამისი თეორიისა და პრაქტიკის სწავლება დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილებებით განათლების ამ ორ საფეხურს შორის კავშირების რღვევა დაიწყო. 2006-2010 წლებში ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლებს შემდეგი სახის რეკომენდაციას სთავაზობდა: “მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასებში სკოლამ შესაძლებელია მოსწავლეს შესთავაზოს არჩევითი აკადემიური საგნების ნაცვლად სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი უნდა იყოს პროფესიული სწავლების ცენტრებთან და სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან კონსულტაციების საფუძველზე. მოსწავლე, რომელიც გაივლის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას და სავალდებულო საგნებს, აიღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს და, თუ პროფესიული სწავლების ცენტრის შესაბამის კომისიასთან ჩააბარებს გამოცდას, მიიღებს სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატს.“ აქედან გამომდინარე, X-XI კლასში არჩევით საგნად მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდა აერჩია პროფესიული განათლების შესაბამისი, რომელიმე სპეციალობა. შესაბამისად, სკოლებს კიდევ ჰქონდათ საშუალება მოსწავლეთათვის პროფესიული განათლების სწავლების შეთავაზებისა. 2010 წელს, კი ეროვნულ სასწავლო გეგმაში საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, მოსწავლეებს ამგვარი შესაძლებლობა შეეზღუდათ, რადგან, არჩევით საგნებად, პროფესიული პროგრამები, ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა.<sup>4</sup> აღნიშნული გადაწყვეტილებით იმ პერიოდისათვის საბოლოოდ გაწყდა კავშირი სასკოლო და პროფესიულ განათლებას შორის. 2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა<sup>5</sup> ასევე აღარ ითვალისწინებს

<sup>4</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №85/6 „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”, ქ. თბილისი.

<sup>5</sup> „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სკოლაში პროფესიულ განათლების სწავლებას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას სურვილი აქვს პროფესიული პროგრამები განახორციელოს, ამისათვის მან სახელმწიფოსაგან დამატებითი თანხმობა უნდა მიიღოს.

დღეს პროფესიული პროგრამებით სწავლება ათამდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარეობს. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები“<sup>6</sup>. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კერძო სკოლებს, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან დამოუკიდებლად, თავად აქვთ ავტორიზაცია გავლილი ამ პროგრამებზე და თავადვე ასწავლიან სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს. საჯარო სკოლებში კი დღეს ამგვარი სწავლება არ მიმდინარეობს. დღეს სახელმწიფო, მის მიერ დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რამდენიმე აქტივობას ახორციელებს, რომელიც, ჩემის აზრით, ზედაპირული და არასაკმარისია. თუმცა აღნიშნულ სიახლეებს შესაძლებელია ვუწოდოთ ზოგად და პროფესიულ განათლებაში კავშირების აღდგენის მცდელობა, რის დასტურადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ 2014 წელს განხორციელებული ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის სამსახურის დებულებაში“.<sup>7</sup> აღნიშნული ცვლილებით მანდატურის სამსახურში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო ჩამოყალიბდა. და დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის

<sup>6</sup> „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება, მე-12 მუხლი.

<sup>7</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს ფუნქციები გახლავთ:

„ა) სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგიას და ნერგავს პროფორიენტაციის სისტემას საჯარო სკოლებში;

ბ) უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა მომზადებას პროფესიული ორიენტაციის კუთხით;

გ) აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამასთან დაკავშირებული აქტივობების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

დ) კლასის დამრიგებელთან ერთად მონაწილეობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების, გაფართოებული შეხვედრებისა და ექსკურსიების ორგანიზებაში;

ე) აწარმოებს დამსაქმებელთა ბაზებს;

ვ) აწარმოებს საერთო საინფორმაციო ბაზებს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პირობების, ვადებისა და დაფინანსების შესახებ;

თ) უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას ცალკეულ პროფესიათა თავისებურებების შესახებ;

ი) ახორციელებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციის პროცედურებს“<sup>8</sup>;

<sup>8</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საჯარო სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი. სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამრიგებლის მოვალეობაა „საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან შეთანხმებით“<sup>9</sup>.

მართალია, აღნიშნული ცვლილებება ეროვნულ სასწავლო გეგმას შეეხო, თუმცა ამ სიახლეს სწავლების შინაარსში აღნიშნული მიმართულების დანერგვად ვერ მივიჩნევდი. მანდატურების სამსახურის დებულებიდან აღნიშნული მიმართულებით სრული ამონარიდი იმიტომ წარმოგიდგინეთ, რომ ერთად დავფიქრდეთ და დავსვათ კითხვები, რამდენად არის მანდატურის სამსახურის კომპეტენცია სკოლებში მოსწავლეებისათვის პროფესიების გაცნობა, დამსაქმებელთა ბაზების წარმოება და სხვა აქტივობები, რომელსაც ხელახლა აღარ ჩამოვთვლი. რამდენად კომპეტენტურია აღნიშნული სამსახური ამ აქტივობების განხორციელებისას? რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი აქტივობების ცენტრალიზებულად დაგეგმვა, მართვა, განხორციელება, მონიტორინგი და სხვა? სამართლიანობისა და გამო იმასაც ვიტყვი, რომ ამ აქტივობების ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში, მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა უნდა შეექმნათ პროფესიულ განათლებაზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ნგრევას, რაც სამწუხაროდ პროფესიულ განათლებას მუდმივად დაჰყვება და პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში არსებითი როლი უნდა შეიტანოს.

თუმცა ღიად რჩება კვლავაც სასკოლო სივრცეში პროფესიული განათლების არსებითად დანერგვის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპის, ასევე აზიის და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში პროფესიულ განათლებას, როგორც წესი, მნიშველოვანი ადგილი უკავია. ამერიკის მთელ რიგ შტატებში მოსწავლე, რომელიც სკოლას ამთავრებს, გარდა ზოგადი განათლებისა, სახელობო პროფესიათაგან ერთ პროფესიას მაინც ეუფლება და შემდგომში, სწავლის გაგრძელების გარეშე საშუალება აქვს დასაქმდეს და თავი ირჩინოს. ასევე ევროპაშიც, განსაკუთრებით კარგად არის დანერგილი ამგვარი მიდგომა გერმანიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში და სხვ. მოსწავლე სკოლის ასაკიდანვე იწყებს პროფესიების გაცნობას, მოსინჯვას და მათ

<sup>9</sup> „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

დაუფლებას. რაც მომავალში მას ეხმარება კარიერის დაგეგმვაში. დღევანდელი პროფესიული განათლების სტრატეგია ბევრ ცვლილებას ითვალისწინებს, მათ შორის პროფესიულ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის გათვალისწინებას, ჩემის აზრით ეს გზა გაუმართლებელი „სამართლებრივი ჩიხის“ აღმოსაფხვრელად. თუმცა მაინც გარკვეული მიდგომა არის წარმოდგენილი. მაგრამ სტრატეგიაში არ აღმოჩნდა ის ხედვა, რაც დღეს ამ სწრაფად ცვალებადი და განვითარებადი ტექნოლოგიების საუკუნეში ასე მნიშვნელოვანია. დღეს, ჩემის აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ცალკეულ საგნებად გათვალისწინებულ იქნას, როგორც პროფესიების გაცნობა, ასევე პროფესიული პროგრამებისა თუ მისი შემადგენელი ცალკეული მოდულების სწავლება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლე სწავლას დაახლოებით 18 წლის ასაკში ასრულებს, ვფიქრობ, ყოველად გაუმართლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ იყოს იმის საშუალება, რომ მოსწავლე გაეცნოს სხვადასხვა პროფესიას, შეარჩიოს მისთვის სასურველი და დაეუფლოს მას სასკოლო სწავლებასთან ერთად. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად უნდა დაიწყოს, რომ მინიმუმ არჩევითი საგნის სახით მაინც იყოს წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები. უფრო მეტად ეფექტური იქნება, თუ პროფესიული პროგრამები სწავლების საშუალო საფეხურზე სავალდებულო საგანთა შორის დაიმკვიდრებენ ადგილს. აღნიშნული ორმხრივად ხელსაყრელია, როგორც კერძო სექტორისათვის, ასევე მოსწავლისათვის, რომელიც ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ შეძლებს დასაქმებას, იმ შემთხვევაში თუ სწავლის გაგრძელება არ სურთ. ამით დაიზოგება დამატებითი რესურსი, როგორც დროის ასევე ფინანსური. და ან რატომ არ არის ხელსაყრელი სტუდენტისათვის, სკოლის სივრცეში მიღებული პროფესიული კვალიფიკაცია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პარალელურად გამოიყენოს. დასაქმდეს შესაბამისი, უკვე მიღებული პროფესიით, თავი ირჩინოს და სწავლის საფასური გადაიხადოს იქამდე, ვიდრე უმაღლეს სასწავლებელს დაასრულებს და ახალი პროფესიით დაიწყებს მუშაობას. მოსწავლეების მეტი ინფორმირებულება, მეტი ჩართულობა სხვადასხვა პროფესიების გაცნობა, სწავლა, მოსინჯვა ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მათ, თუკი სასკოლო გარემოში, სკოლის ასაკიდანვე დაიწყება. დარწმუნებული ვარ ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ იმ მოსწავლეთა რაოდენობას, ვინც სწავლას პროფესიულ პროგრამებზე გააგრძელებენ. დავინტერესდი და უმაღლესი სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა გადინების სტატისტიკასაც გადავხედე. საინტერესოა რა ხდება მას შემდეგ, რაც უმაღლესი სასწავლებლისა სტუდენტები სწავლას იწყებენ. რა პროცენტი


The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

იღებს დიპლომს და რა პროცენტი იჩერებს ან იწყვეტს სტუდენტის სტატუსს და რა არის ამის მიზეზი. ამ კუთხით საინტერესოა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 2014 წლის ანგარიში, სადაც სწორედ ამ სტატისტიკის მოძიება იქნა შესაძლებელი.

2013 და 2014 წლის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მონაცემები<sup>10</sup>



აღმოჩნდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტატუსშეჩერებულთა რიცხოვნობა საკმაოდ შთამბეჭდავია, 22-21%. აქვე შესაძლებელია ვნახოთ სტუდენტებში სტატუსის შეჩერების მიზეზები.<sup>11</sup>

<sup>10</sup> სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი- [განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის ანგარიში](#)

<sup>11</sup> სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი- [განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის ანგარიში](#)

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials



ვხედავთ, რომ ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი სრული რაოდენობის ნახევარზე მეტია. დარწმუნებული ვარ სტატუსშეჩერებულთა პროცენტული მაჩვენებელი ბევრად უფრო დაბალი იქნებოდა, სტუდენტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან უკვე შეძენილი პროფესიით რომ მიდიოდა. არანაკლები პროცენტული მაჩვენებელია დიაგრამაში, „სტატუსის შეჩერება სხვა დანარჩენი მიზეზების გამო“. ამ კუთხით მნიშვნელოვანია უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება მოხდეს, შესაბამისი პროფესიების შინაარსის, დასაქმების შესაძლებლობების და კარიერული ზრდის შესახებ. ვფიქრობ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწყებული აქტივობები, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სტუდენტების განთესვის შემცირების პროცესში, როგორც უმაღლეს ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #721 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა“, სადაც კონცეფციის ძირითად ამოცანებში ცალკე თავად გახლავთ გამოყოფილი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების დანერგვა როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილია, მნიშვნელოვანია, თავად სკოლისა და სააღმზრდელო დაწესებულებების დონეზე ამ კუთხით არსებული მიდგომები როგორ დაინერგება.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

პროფესიის გაცნობა - ასეთი მოდულები იქმნება ახალი პროფესიული სტანდარტების საფუძველზე, რომელიც ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არის ორგანიზებული. თუმცა აღნიშნული მოდულის სწავლება იგეგმება მხოლოდ პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, ამ მოდულს, მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდნენ. მნიშვნელოვანია, სწორედ სკოლაში ხდებოდეს პროფესიების გაცნობა, სკოლაში იაზრებდეს პირი ამა თუ იმ პროფესიაზე სწავლის დასრულების შემდეგ, რა შესაძლებლობები ექნება. მაგ: სად დასაქმდება, რა მიმართულებით არის შესაძლებელი განვითარდეს, თუკი გარკვეული პერიოდის შემდეგ მიხვდება, რომ ეს მისთვის მისაღები საქმიანობა არ არის, რა შესაძლებლობებია იმისათვის, რომ პროფესია მაქსიმალურად მოქნილად და უმტკივნეულოდ შეიცვალოს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში უნდა არსებობდეს საგანი, რომლის სწავლის დასრულების შედეგად პირს შეეძლება არსებული პროფესიების გაცნობა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც და თავისი პროფესიული მომავლის უკეთ გააზრება და დაგეგმვა. დღეს ამგვარი შესაძლებლობა ევროპის თითქმის ყველა წამყვან ქვეყანას აქვს (გერმანია, ავსტრია, ჰოლანდია და სხვ.) მაგალითისათვის მინდა გითხრათ, რომ ინგლისი 2000 წლიდან მოსწავლეებს პროფესიული პროგრამებს არჩევით საგნებად სთავაზობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გაანალიზების შემდგომ, შესაძლებელია ორი ძირითადი ასპექტი გამოვყოთ. პირველი - მე-9 კლასის ჩათვლით (უმჯობესი იქნება, რომ სწავლება 10+2-ზე გადავიდეს და სავალდებულო საბაზო საფეხურის დასრულებისას მოსწავლე 16 წლის იყოს), ეროვნულ სასწავლო გეგმაში, შესაბამისი მიმართულებით ცვლილებების შეტანის მიზნით განხორციელდეს კვლევები, მოხდეს საერთაშორისო გამოცდილებისა თუ ჩვენი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება. შედეგად, მოსწავლეებს სწავლის დაწყებიდანვე საშუალება უნდა ჰქონდეთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს, და მეორე - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურზე, მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს მისთვის სასურველი საგანი, ისწავლოს და მიიღოს შესაბამისი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, უფრო დაახლოებს სკოლას და პროფესიულ სასწავლებლებს ერთმანეთთან. ამ ორ სწავლებას შორის აღდგენილი კავშირი კი როგორც სისტემის უკეთესად აღქმას, გაანალიზებას და შემდგომ სწორ დაგეგმვას, ასევე, ხარისხიან სწავლებას წაადგება. მეტი ინფორმაცია, მეტი ცნობადობა კი ასევე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პროფესიული სწავლების პოპულარიზაციაში. მოგეხსენებათ, ტრადიციულად პროფესიული განათლება არ იყო და არ არის პოპულარული ჩვენს საზოგადოებაში. დღესაც ხშირად გვესმის მოსაზრება, რომ ვინც პროფესიული განათლების საფეხურზე აგრძელებს სწავლას, მას



The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის უნარი არ აქვს და ასევე ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. დღეს კი ამკარად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უამრავი ადამიანი საქმდება ტურიზმის, ინჟინერიის, აგრარული და სხვა მიმართულებით, სწორედ პროფესიული დიპლომის საფუძველზე, ყოველგვარი უმაღლესი განათლების გარეშე. უფრო მეტიც, დამსაქმებელი ისეთ კადრს ითხოვს, რომელსაც მეტი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. პროფესიული სწავლების 70 % კი სწორედ პრაქტიკას ეთმობა და პროფესიული დაწესებულების კურსდამთავრებული, ამ კუთხით ამკარა უპირატესობაში არიან უმაღლესი განათლების მქონე პირებთან. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს ის გზები და საშუალებები, რაც სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის არის საჭირო. ასევე, მნიშვნელობანია პირს სკოლის ასაკიდანვე დაეხმარო იმის გააზრებაში, თუ რა პროფესიაა უფრო მისაღები და ახლობელი მისთვის. დაეხმარო ანალიზი გააკეთოს იმისა, თუ რა შედეგს შეიძლება მიაღწიო მაშინ, თუ სწორედ აირჩევ პროფესიას. და ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა ამ პროფესიას უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღების შედეგად დაეუფლები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
2. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ;
3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი;
5. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება.
6. Очерк истории среднего специального образования в Грузии ; К.С.Челидзе;1981г
7. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება.
8. „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და ისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #721 დადგენილება.
9. Professional orientation in schools in a European comparison, 2004, Peter Hartel.